# სიცოცხლე გულის დაავადებების გარეშე

მოგეხსენებათ, გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიით მრავალი ადამიანია დაავადებული. ხშირად მარტო მედიკამენტოზური მკურნალობა სასურველ შედეგს ვერ იძლევა, ქირურგიული ჩარევა კი ზოგჯერ შეუძლებელია. სწორედ ასეთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი არაინვაზიური მეთოდი, გარეგანი კონტრპულსაციის ნაირსახეობა-კუნთოვანი კონტრპულსაციაა. აღნიშნულმა მეთოდმა ჯერ კიდევ წლების წინათ მიიქცია მსოფლიო მოწინავე ქვეყნების ყურადღება და დიდი რეზონანსიც გამოიწვია. სწორედ ამის საფუძველზე შეიქმნა აპარატი „კარდიოლა", რომელიც გამოიყენება გულის უკმარისობის, კარდიომიოპათიის, გულის იშემიური და ჰიპერტონიული დაავადებების, სარქველების პათოლოგიის დროს. ბატონ ლერი ლაფანაშვილის მიერ მიკვლეულმა მეთოდმა და უნიკალურმა აპარატმა საოცრება უკვე მოახდინა — მრავალ გულით დაავადებულ ადამიანს თითქმის დაავიწყა, სად აქვს გული.

გვესაუბრება კლინიკა „კარდიო სტილის" ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თორაკოქირურგი, ბატონი ლერი ლაფანაშვილი:



— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო ის, რომ სხვა ელექტროსტიმულატორებისგან განსხვავებით, აქ პაციენტის გული თავად მართავს აპარატს და სწორედ ამით არის ეს მეთოდი უნიკალური. „კარდიოლას" საყოველთაო დანერგვით გულის უკმარისობით დაავადებულ ადამიანთა რიცხვს საქართველოში მინიმუმამდე დავიყვანთ.

— ბატონო ლერი, უფრო დაწვრილებით ამ მეთოდსა და „კარდიოლას" შესახებ...

— აღნიშნული მეთოდი აპრობირებულია და მიღებული აქვს ევროპული სამედიცინო CE სერტიფიკატი. მეთოდის უნიკალურობა ნათლად დადასტურდა 32 კვლევის საფუძველზე ევროპასა და რუსეთში. ავადმყოფების ჰემოდინამიკური მონაცემების და მათთან დაკავშირებული კლინიკური და ფიზიკური მდგომარეობის სასიკეთო ცვლილებები იძლეოდა იმის საფუძველს, რომ აღნიშნული მეთოდი საყოველთაოდ დანერგილიყო. სწორედ ასეთი მრავალწლიანი დაკვირვებით და ცოდნით დაინერგა ეს მეთოდი ქართულ-შვეიცარიულ კლინიკა „კარდიოსტილში". „კარდიოლა" ავტომატურად არეგულირებს სტიმულაციას გულის რიტმის მიხედვით და მკაცრად განსაზღვრულ მომენტში გზავნის მოკლე ელექტრული იმპულსების სერიას, რითაც კუნთებს საჭირო მომენტში კუმშავს. ამ მეთოდით უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა როგორც ადგილობრივად, ასევე ზოგადად, ამიტომ იგი გამოიყენება ანგიოლოგიაშიც – პერიფერიული არტერიების პათოლოგიის, ლიმფოვენური უკმარისობის, ათეროსკლეროზული და დიაბეტური ანგიოპათიების, რეინოს დაავადებების დროს, ქირურგიაში — ოპერაციის მოსამზადებელი და შემდგომი პერიოდისას, ნევროლოგიაში — როგორც ოსტეოქონდროზის და რადიკულიტის, ასევე სხვა დაავადებების დროს, გინეკოლოგიაში — უსისხლო ვაგინოპლასტიკის, ანთებების, ფრიგიდულობისა და სხვა პათოლოგიების დროსაც.

— კლინიკაში გავესაუბრე რამდენიმე პაციენტს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ სტიმულაციის ეს მეთოდი სრულიად განსხვავებულია...

— რაც ყველაზე მთავარია, „კარდიოლა" იმდენად მოქნილია, რომ ერთი პროცედურის განმავლობაში რამდენიმე დაავადებაზე ხდება ერთდროული სამკურნალო ზემოქმედება, ასევე მძიმე ავადმყოფებს სახლის პირობებშიც ვმკურნალობთ. სტიმულაციის ამ მეთოდს პაციენტები კარგად იტანენ. მრავალ შემთხვევაში, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება, ჩივილები ეხსნებათ, ემატებათ ენერგია, თავს მხნედ გრძნობენ და ხდებიან შრომისუნარიანები, თანაც, კონტრპულსაციისას უარყოფითი გვერდითი მოვლენები ჯერ არ დაფიქსირებულა.

## „კარდიო-სტილი" მეთოდი გულით თქვენი გულისთვის




ესაუბრა მაია ცომაია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ: 99-82-77.
მისამართი:
თაბუკაშვილის ქ. №27
(ოპერის უკან, პოლიციის ეზოში).